

ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში, საკომიტეტო განხილვების დროს გამოთქმული  
შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე

შენიშვნა	კომენტარი
<p><b>ეროვნული ბანკი</b></p> <p>მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დეფიციტის 3%-ზე დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება და მომდევნო წლებში შემცირების ტენდენციის გაგრძელება.</p>	<p>2015 წლის პროექტთან ერთად წარმოდგენილი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები ითვალისწინებს დეფიციტს 3% (GFSM 1986) და საშუალოვადიან პერიოდში კლებად ტენდენციას, საბიუჯეტო დეფიციტი 2018 წლისათვის იქნება მშპ-ს 2%-ის ფარგლებში.</p>
<p><b>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი</b></p> <p>პროგრამული ბიუჯეტირების გაუმჯობესება, ინდიკატორების გაანგარიშებისა და შეფასების არსებული მეთოდის სრულყოფის პროცესის დაჩქარება.</p>	<p>პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ისე საკანონმდებლო ხელისუფლების და აუდიტის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევა, რომ შესრულების შეფასების ინდიკატორები ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ეფექტურ ინსტრუმენტად იქცეს. ამ მიზნით სამუშაოები კვლავ გრძელდება, დონორებთან (EU, GIZ) თანაშრომლობით მომავალ წელს მომზადდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის დეტალური სახელმძღვანელო მხარჯავი დაწესებულებებისათვის</p>
<p>ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, თუმცა როგორც ცნობილია კონსულტაციები გრძელდება და დაზუსტებული პარამეტრები წარმოდგენილი იქნება შემდგომში.</p> <p>პროექტი დაგეგმილია კონსერვატორული მიდგომებით და არსებობს ფისკალური პარამეტრების ზრდის რეზერვები, რაც სოციალური თუ სხვა მიმართულების პრიორიტეტების დამატებით დაფინანსების საშუალებას მოგვცემს.</p>	<p>წარმოდგენილი პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. რეგიონსა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები არ იძლევა უფრო მაღალი პროგნოზებით ბიუჯეტის დაგეგმვის საშუალებას.</p> <p>საგადასახადო კოდექსის ცვლილებების შედეგად დაგეგმილი დამატებითი ფისკალური რესურსის (140 მლნ ლარი) გადანაწილება წარმოდგენილია 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში</p>
<p>საჯარო მოხელეების შრომის საშუალო ანაზღაურება თვეში სამინისტროების მიხედვით კვლავ უთანაბროა და განსხვავდება ერთმანეთისაგან.</p> <p>აუცილებელია ქვეყანაში საჯარო სამსახურისათვის ერთიანი სახელფასო პოლიტიკის ჩამოყალიბება.</p> <p>მიზანშეწონილია წარმოდგენილ კანონპროექტში შევიდეს ცვლილება იმ საჯარო მოხელეების საკლასო ჩინის შესაბამისი დანამატების გაცემის შეზღუდვის (მუხლი 22) გაუქმების მიზნით, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ჩინი მაგრამ არ ეძლევათ შესაბამისი დანამატი 2006 წლის პირველი იანვრიდან.</p>	<p>მუშაობა მიმდინარეობს საჯარო სამსახურის რეფორმაზე, რაც მათ შორის ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების საკითხების მოწესრიგებას და ერთიანი სტანდარტების დანერგვას მთელ საჯარო საქტორში.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია რეფორმის დასრულებამდე შენარჩუნდეს არსებული მდგომარეობა და საკლასო ჩინების მინიჭების და ანაზღაურების საკითხი გადაწყდეს რეფორმის ფარგლებში</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ოდენობა წარმოდგენილი პროექტით 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზარდილია 45,1 მლნ ლარით და შეადგენს 841,0 მლნ ლარს, ზოგიერთი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით მათთვის გადასაცემი ტრანსფერის ოდენობები შემცირებულია.</p> <p>გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდიკა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ ისეთი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების მიერ მიმდინარე პერიოდისთვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარებების ოდენობებს თუნდაც ამ ეტაპზე არ შეამცირებს.</p>	<p>ახალი მუნიციპალიტეტებისათვის ტრანსფერის გაანგარიშება განხორციელდა დადგენილი ფორმულის მიხედვით და 2015 წელს მათთვის გადასაცემი ტრანსფერის ოდენობები წარმოდგენილია 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის შესაბამის თავში.</p> <p>ახალი მუნიციპალიტეტების დამატება გამოიწვია ტრანსფერისთვის გასანაწილებელი თანხიდან შესაბამისი ნაწილის მიმართვა ახალ</p>

<p>მითუმეტეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად იქმნება ახალი მუნიციპალიტეტები, რომლებიც წარმოდგენილი პროექტით არ არის გათვალისწინებული.</p>	<p>მუნიციპალიტეტებზე, რის გამოც შემცირდა არსებული მუნიციპალიტეტებისათვის გასანაწილებელი მთლიანი ბაზა და ზოგიერთ მუნიციპალიტეტებს შეუმცირდა მისაღები ტრანსფერი 2014 წელთან შედარებით. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში წარმოდგენილია ტრანსფერის გაანგარიშება იმგვარად, რომ არცერთ მუნიციპალიტეტს არ უმცირდება 2014 წელს დადგენილი ტრანსფერის მოცულობა</p>
<p>2015 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული პენსიების მატება. უნდა გამოინახოს ფინანსური რესურსი ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის პენსიების გაზრდის მიმართულებით. ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდეგი ეტაპისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს პენსიების მატების ოდენობები და გაცემის ვადები.</p>	<p>2015 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ასაკით პენსიონერთათვის საპენსიო გასაცემლის ზრდა 25 ლარამდე 1 სექტემბრიდან, რისთვისაც 2015 წლის ბიუჯეტში დამატებითი გათვალისწინებულია 10 მლნ ლარი (სულ 1 370.0 მლნ ლარი)</p>
<p>„ბავშვთა სიღარიბე საქართველოში“, სადაც განხილულ იქნა ბავშვთა სიღარიბის ტენდენციები 2009-2013 წლებში. შემოთავაზებულ იქნა რეკომენდაციები ბავშვთა სიღარიბის დაძლევის მიმართულებით. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო სახელმწიფო დახმარების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს სათანადო რეაგირება და შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოძებნა, რათა შესაძლებელი იყოს ოჯახში თითოეულ ბავშვზე დახმარების სახით ფულადი დანამატის გაცემა.</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მუშაობს სოციალური დახმარებების მეთოლოგიაზე, რაც შეცვლის ქულების მინიჭების არსებულ მექანიზმს და გააუმჯობესებს სოციალურად დაუცველ იმ ოჯახთა მდგომარეობას, რომელთაც ყავთ ბავშვები. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისიდან მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო ახალი პროგრამა - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების მეშვეობით. პროგრამის ფარგლებში 150-200 ლარიანი დახმარებები დაენიშნათ მე-3 და და თითოეულ მომდევნო შვილზე, რომლის ასაკი არ აღემატება 2 წელს. აღნიშნული დახმარება გაიცემა მშობელზე, რომელიც ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება.</p>
<p>2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის ასიგნებებში (მუხლი 15) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში გათვალისწინებულია 300 მლნ ლარი ერთი პროგრამული კოდით. ბიუჯეტის პროექტის მარეგულირებელ ნორმებში (მუხლი 19) მითითებულია, რომ 300 მლნ ლარიდან 250 მლნ ლარი გათვალისწინებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 50 მლნ ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისთვის. აღნიშნული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება 2014 წელს გათვალისწინებული იყო ცალ-ცალკე პროგრამული კოდების მიხედვით. საჭიროა განმარტებები აღნიშნული ცვლილების თაობაზე, ხომ არ იცვლება ამ პროექტების დაფინანსების მექანიზმი.</p>	<p>2015 წლის ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი რეგულაციების თანახმად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში გათვალისწინებული 300.0 მლნ ლარიდან 50 მლნ ლარი გამოყენებული იქნება ისევ სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის და ამ რესურსით შესაძლებელია იქნება განხორციელდეს პროექტები როგორც კონკრეტული სოფლის მასშტაბით, ასევე ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში</p>

	რამდენიმე სოფლის საჭიროებებიდან გამომდინარე.
კანონპროექტის მიხედვით 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში ხდება ზოგიერთი პარამეტრის შემცირება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ეს შემცირება ძირითადად ეხება „სხვა შემოსავლებს“. მაგ.: სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მისაღები დივიდენდები შემცირებულია 50 მლნ ლარით, რაც საჭიროებს შესაბამის განმარტებებს.	აღსანიშნავია, რომ 2014 წელსაც არ ხდება გეგმით გათვალისწინებული მთლიანი მოცულობის მობილიზება. ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების მიზნით აღნიშნული თანხის მობილიზების საჭიროება არ არსებობს და მიზანშეწონილია საწარმოებს ქონდეთ რესურსი რეინვესტირებისათვის.
2015 წლის ბიუჯეტის პროექტიდან არ ჩანს გათვალისწინებულია თუ არა საშემოსავლო გადასახადიდან დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადზე დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხის დაბრუნება. თუ გათვალისწინებულია, რა ოდენობით.	დაუბეგრავი მინიმუმის სახით დასაბრუნებელი თანხა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას შესაბამისი გადასახდელებისათვის და შესაბამისი ამ თანხის ასახვა არ ხდება 2015 ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილია დასაბრუნებელი მოცულობის (150 მლნ ლარი) გამოკლებით;
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში შემოსულია არაერთი წერილი კოორპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების თხოვნით. მთავრობამ ამ მიმართულებით უნდა გააქტიუროს მუშაობა და განსაზღვროს დავალიანების დაფარვის წესი და მექანიზმი.	კოორპერატიული ბინათმშენებლობის საკითხი კომპლექსური თემაა, დიდ რესურსთანაა დაკავშირებული და ბიუჯეტში ასახვამდე მიზანშეწონილია შემუშავდეს სათანადო გეგმა, რაზედაც მუშაობას აგრძელებს სამთავრობო კომისია.
საქართველოში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად გადახედოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია არსებული პროფესიული კოლეჯების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აღდგენა.	პროფესიული განათლების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 მლნ ლარი. მათ შორის უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისათვის 26.5 მლნ ლარი, ამას გარდა 7.5 მლნ ლარი გათვალისწინებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მათ შორის გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; ამას გარდა, 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის ასევე სასწავლო გეგმების შემუშავებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 2.6 მლნ ლარი
მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით გაგრძელდეს პირადობის მოწმობების უფასო და შეღავათიანი პირობებით გაცემა და ამ მიზნით 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი დაფინანსება.	აღნიშნული მომსახურების გაწევას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართული (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით მიღებული სახსრებიდან. სააგენტო გააგრძელებს მომსახურების მიწოდებას და შესაბამის აქციებს სხვადასხვა ბენეფიციარებისათვის მოწმობების დარიგების შეღავათიანი პირობების შეთავაზების მიმართულებით
<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	
2015-2018 წლების „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ პირველადი ვარიანტით 2014 წელს მოსალოდნელია კერძო	ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და

<p>ინვესტიციების ნომინალური მოცულობის ზრდა მშპ-ის 25.9%-მდე, ხოლო 2018 წლისათვის 27.8%-მდე. თუმცა, ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ გადამუშავებულ ვარიანტში აღარაფერია ნათქვამი კერძო ინვესტიციების საპროგნოზო მაჩვენებელთან დაკავშირებით და მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კერძო ინვესტიციების ფაქტიური ზრდის ტემპის მაჩვენებელია (21.0%) მოყვანილი.</p>	<p>მიმართულებების დოკუმენტში“ ხაზგასმულია, რომ გრძელვადიან პერიოდში მშპ-ის ზრდაში წარმმართველი როლი ექნება ინვესტიციებს. ის რომ გრძელვადიან პერიოდში მთავრობის ინვესტიციებს (%-ად მშპ-თან) არ ექნება ზრდის ტენდენცია, ნიშნავს კერძო ინვესტიციების ნომინალური მოცულობის ზრდას მშპ-ს მიმართ. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის მაკროეკონომიკური პროგნოზების განახლებული ცხრილი, სადაც მოცემულია კერძო კაპიტალის შემოდინების განახლებული პროგნოზებიც.</p>
<p>საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ პროგნოზირებული სამომხმარებლო ფასებით გამოხატული ინფლაციის საშუალოვადიანი მაჩვენებლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კერძოდ, თუ 2015-2018 წლების „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ გადამუშავებულ ვარიანტში ინფლაციის საშუალოვადიანი მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება (2018 წლისათვის 3.5%), საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება (2014-2015 წლებისათვის შესაბამისად, 4.6% და 4.9%) და საშუალოვადიან პერიოდში სტაბილურად, 5.0%-ის დონეზე განსაზღვრული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღნიშნული პროგნოზი განპირობებულია, ერთი მხრივ, წლის ბოლოსათვის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების მოსალოდნელი ზრდით (აღნიშნული განპირობებული იქნება ბიუჯეტის მაღალი ათვისებით წლის ბოლოს), ხოლო, მეორე მხრივ, იმპორტირებულ საქონელზე ფასების მოსალოდნელი ზრდით<sup>1</sup>.</p>	<p>ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის დაგეგმვისას ცდილობს ბიუჯეტის პროექტში ჩადოს მაქსიმალურად რეალისტური მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებლები, რათა მეტი სიზუსტით მოხდეს ბიუჯეტის მოსალოდნელი შემოსავლების პროგნოზირება. (ანუ ინფლაციის ხარჯზე არ მოხდება გადაჭარბებული საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა). გარდა ამისა, სსფ-ის ქვეყნის ანგარიშში ნახსენები ინფლაციის მაჩვენებელი წარმოადგენს ფასების ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან მაშინ, როდესაც 2015-2018 წლების „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში“ პროგნოზირებულია წლის საშუალო ინფლაცია. ეს კი ორი სხვადასხვა მაჩვენებელია.</p>
<p>სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2014 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი მნიშვნელობა -8.4%-ის, ხოლო აზიის განვითარების ბანკის მიერ -8.0%-ის დონეზე განისაზღვრა, მაშინ როდესაც BDD-ის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული მაჩვენებელი -7.5%-ს შეადგენს.</p>	<p>ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ მაკრო სცენარებში ჩადებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ის მაჩვენებელი, რაც მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ტენდენციებიდან მომდინარეობს. აღნიშნული პროგნოზი გაკეთებულ იქნა მიმდინარე წლის მაისში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის განახლების კალენდარი არ ემთხვევა არც საბიუჯეტო კალენდარს და არც საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზების განახლების თარიღებს. არსებულ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის პროგნოზულ მაჩვენებელში განსხვავება საკმაოდ დაბალია. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ის გეოპოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ვითარდება საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, ართულებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსის პროგნოზირებას.</p>
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების არსებული პრაქტიკით პროგნოზირებისას გამოყენებული მოდელი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მიმდინარე წლის ფაქტობრივი მობილიზების ტენდენციებს (ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით), მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლებს დასაგეგმი პერიოდისათვის. პროგნოზირების საფუძვლად გამოყენებულ</p>	<p><i>საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების არსებული მეთოდოლოგია იძლევა საკმარისი სიზუსტის პროგნოზებს. კერძოდ ბოლო წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ ფაქტიური შემოსავლები პროგნოზირებულს არ ჩამორჩებიოდა 5%-ზე</i></p>

<sup>1</sup> IMF Country Report No. 14/250

<p>მაკროეკონომიკურ აგრეგატებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ელასტიურობის კოეფიციენტები განისაზღვრება დაშვების საფუძველზე და ძირითად შემთხვევებში 1-ს უტოლდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებით მონაცემების ნაკლებობის გამო დამატებითი კვლევა ჩატარებული არ არის, არსებული გამოცდილებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნული მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო კვლევებით, საგადასახადო შემოსავლების ცალკეული ტიპებისათვის მაკროეკონომიკური ინდიკატორებისადმი ელასტიურობის კოეფიციენტები შესაძლოა განსხვავდებოდეს<sup>2</sup>, ამდენად, მიზანშეწონილია სამომავლოდ ყურადღება გამახვილდეს ამ საკითხზე და დაიწყოს მუშაობა კვლევის/ანალიზის ჩასატარებლად ამ მიმართულებით მოდელის დაშვებების საფუძვლიანობის გასამყარებლად.</p> <p>სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების არსებული პრაქტიკით პროგნოზირებისას გამოყენებული მოდელი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მიმდინარე წლის ფაქტობრივი მობილიზების ტენდენციებს (ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით), მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლებს დასაგეგმი პერიოდისათვის. პროგნოზირების საფუძვლად გამოყენებულ მაკროეკონომიკურ აგრეგატებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ელასტიურობის კოეფიციენტები განისაზღვრება დაშვების საფუძველზე და ძირითად შემთხვევებში 1-ს უტოლდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებით მონაცემების ნაკლებობის გამო დამატებითი კვლევა ჩატარებული არ არის, არსებული გამოცდილებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნული მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო კვლევებით, საგადასახადო შემოსავლების ცალკეული ტიპებისათვის მაკროეკონომიკური ინდიკატორებისადმი ელასტიურობის კოეფიციენტები შესაძლოა განსხვავდებოდეს<sup>3</sup>, მიზანშეწონილია სამომავლოდ ყურადღება გამახვილდეს ამ საკითხზე და დაიწყოს მუშაობა კვლევის/ანალიზის ჩასატარებლად ამ მიმართულებით მოდელის დაშვებების საფუძვლიანობის გასამყარებლად.</p>	<p>მეტად და არ აჭარბებდა მას 10%-ზე მეტად, რაც PEFA-ს მეთოდოლოგიის მიხედვით იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. გამონაკლისი იყო მხოლოდ 2013 წელი, როდესაც გადახრა გამოწვეული იყო მაკროეკონომიკური ვარაუდების გამო და არა შემოსავლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის ხარვეზებით. ელასტიურობის კოეფიციენტად გამოიყენება 1 იმითომ, რომ ამ ეტაპზე სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლევა მისი მეტ ნაკლები სიზუსტით შესწავლის შესაძლებლობას. მაგრამ, როგორც აღინიშნა ელასტიურობის კოეფიციენტებად 1-ის გამოყენება, მნიშვნელოვნად არ აუარესებს პროგნოზის სიზუსტეს.</p> <p>მიუხედავად ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა შემოსავლების პროგნოზების მეთოდოლოგიის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, მათ შორის სხვადასხვა კოეფიციენტების შესწავლასა და გამოყენებაზე.</p>
<p>გარდა „შემოსავლები საკუთრებიდან“ მუხლისა, 2014 წლის ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება „სანქციები(ჯარიმები და საურავები)“ და „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ მუხლებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, შესაბამისად, 20 მლნ და 13.4 მლნ ლარის ოდენობით. თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით სანქციების სახით მობილიზებული შემოსავლების მოცულობას (მობილიზებული წლიური გეგმის 47.8%), აღნიშნული მუხლით მისაღები შემოსავლების მიმდინარე წელთან შედარებით შემცირებულად დაგეგმვა, რეალისტურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა მიზანშეწონილია, დამატებით იქნას განმარტებული კანონპროექტით გათვალისწინებული საპროცენტო შემოსავლების არსებითი ზრდა (ნომინალურ გამოხატულებაში 14 მლნ ლარით; პროცენტულად - 50%-ით), მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული მუხლის სახით 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული შემოსავლების ტენდენციებს (წლიური გეგმის მხოლოდ 44%).</p>	<p>2014 წლის 10 თვის ფაქტიური მონაცემებით სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახეში შემცირებულია შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სახეში, რაც ძირითადად გამოწვეულია 2013 წელს ზოგიერთი სახეობის ჯარიმის ოდენობის შემცირებით, ამასთანავე მნიშვნელოვნადაა შემცირებული შემოსავალი სანქციებიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო. აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით მცირდება დასაგეგმი საპროგნოზო მაჩვენებელი. რაც შეეხება, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულ შემოსავალს, 2014 წელს ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან დაგეგმილი იყო 50.0 მლნ ლარის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული თანხები 2015 წელს დაგეგმილი არ არის. ამ ფაქტორის გათვალისწინებით მცირდება დასაგეგმი საპროგნოზო მაჩვენებელიც.</p>

<sup>2</sup> Measuring Cyclically-Adjusted Budget Balances for OECD Countries. Jul 2005. Nathalie Girouard and Christophe André. *Economics Department*, OECD, PAPER No. 434

<sup>3</sup> Measuring Cyclically-Adjusted Budget Balances for OECD Countries. Jul 2005. Nathalie Girouard and Christophe André. *Economics Department*, OECD, PAPER No. 434

<p>2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულია ასიგნებების მოცულობის ზრდა ან იმავე დონეზე შენარჩუნება იმ პროგრამებშიც სადაც 8 თვის შესრულების მდგომარეობა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებაში 50%-ზე ნაკლებია (რაც შესრულების დაბალი მაჩვენებელია), თუმცა მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტით დაგეგმილია ასიგნებების ზრდა ან მხოლოდ უმნიშვნელოდ ოდენობით შემცირება</p> <p>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომელთაც ახასიათებდათ გასული ან/და მიმდინარე საბიუჯეტო წლების განმავლობაში ათვისების დაბალი მაჩვენებლები, რათა მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების ათვისების შესაბამისობა კანონით დამტკიცებულ გეგმასთან.</p> <p>ცალკეული ქვეპროგრამებისათვის 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრულია ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდა 2014 წელთან შედარებით, თუმცა გაურკვეველია რის საფუძველზე იგეგმება აღნიშნული ზრდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეპროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები გასული წლის იდენტურია.</p>	<p>სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას სხვადასხვა სპეციფიკა აქვს და მათი შესრულების ტენდენციებიც სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული. 2014 წლის მეორე ნახევარში ბევრ პროგრამასთან მიმართებაში, რომლებიც დაბალი ათვისებით გამოირჩეოდნენ პირველ ნახევარში მდგომარეობა გამოსწორებულია და ათვისება მაღალი ტემპით მიმდინარეობს.</p> <p>ზემოაღნიშნულის მიუხედავად დასაგეგმი წლისათვის პროგრამის დაფინანსების მოცულობაზე მსჯელობისას გავლენას ბერი ფაქტორი ახდენს მიმდინარე წლის შესრულების გარდა და ყველა მათგანთან მიმართებაში ერთი მიდგომის გამოყენება შეუძლებელია.</p> <p>რაც შეეხება მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, სამწუხაროდ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ ხდება მათი სწორად განსაზღვრა და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება დონორ ორგანიზაციებთან. მომდევნო წელს დაგეგმილია მხარჯავი დაწესებულებებისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც დეტალურად გაიწერება თუ როგორ უნდა მოხდეს მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.</p>
<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გათვალისწინებული „მეცნიერების აღდგენა და განვითარება“ (32 04 02 05) ქვეპროგრამისათვის 2013 წელს დამტკიცებული ასიგნებები 5.0 მლნ ლარით განისაზღვრა, თუმცა საკასო ხარჯი არ გაწეულა და რესურსი გადანაწილებულ იქნა სხვა პროგრამებზე. მიზანშეწონილია ასიგნებები დაგეგმვის ეტაპზევე განისაზღვროს შესაბამისი ქვეპროგრამების ასიგნებებში, რაც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში მსგავსი მასშტაბური გადანაწილების თავიდან არიდებას.</p>	<p>აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ფონდს, რომელიც წლის მანძილზე ნაწილდება სამეცნიერო დაწესებულებების საჭიროებებიდან გამომდინარე (კვლევების დაფინანსება) და შესაბამისად თავიდანვე ამ თანხების გადანაწილება შესაბამის ქვეპროგრამებში შეუძლებელია</p>
<p><b>მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 20 მლნ ლარით და დაუბრუნდა 2012 წლის მდგომარეობას (70 მლნ ლარს).</b></p>	<p>საბიუჯეტო კოდექსი აწესებს ზედა ზღვარს მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდზე და ჯამურად ორივე ფონდი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს.</p> <p>პროექტის პირველად ვარიანტში მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა გაზრდილი იყო, თუმცა მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი რაც გამოწვეულია კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის თანახმად ფუნქციური დატვირთვა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის შეიცვალა, პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში შემცირდა მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა და განისაზღვრა 2014 წლის დონეზე</p>
<p>2015 წელს ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი სახაზინო ობლიგაციების ემისია გათვალისწინებული არ არის. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, არც აღნიშნული მექანიზმის დანერგვის საჭიროებისა და არც მისი გაუქმების მიზეზების შესახებ მომზადებულა დოკუმენტირებული ანალიზი. როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე დასკვნაში აღინიშნა, აუცილებელია შეფასებულიყო აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების მოსალოდნელი ეფექტი ეკონომიკურ გარემოზე, როგორც მოკლევადიან, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ხოლო დანერგვის შემდეგ, მიზანშეწონილია, გაანალიზდეს ფაქტობრივი შედეგი.</p>	<p>ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ღონისძიება, ეკონომიკის სტრუქტურული არაკონვენციური მეთოდია და მას შეილება ქვეყანამ მიმართოს მოკლევადიან პერიოდში. შესაბამისად არ იგეგმება ამ ღონისძიების დანერგვა გრძელვადიან პერიოდში.</p> <p>პროგრამის დიზაინიდან გამომდინარე, ბანკებისათვის ამ პროგრამაში მონაწილეობა მიმზიდველია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ</p>

<p>ასევე, აუცილებელია განიმარტოს თუ რამ განაპირობა აღნიშნული ინსტრუმენტის გაუქმება (ან შეჩერება) 2015 წლიდან.</p>	<p>ისენი გაზრდიან კერძო სექტორის დაკრედიტებას. შესაბამისად, ბანკების მხრიდან პროგრამაში მონაწილეობის მაღალი ინტერესი ხაზს უსვამს პროგრამის წარმატებას.</p> <p>ამასთანავე, პროგრამის შედეგების დეტალური ანალიზის გაკეთება დაგეგმილია მოგვიანებით, როდესაც პროგრამის შედეგების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება.</p> <p>ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება და მთავრობის საბოლოო პოზიცია წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტის პროექტის მესამე წარმოდგენისას, თუმცა აღნიშნული მექანიზმის კვლავ ამოქმედების შემთხვევაშიც საშინაო ვალის წმინდა ზრდის ზღვრული მოცულობა არ შეიცვლება</p>
<p>სახელმწიფო ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკონომიკური ზრდისა და სავალუტო გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული მდგრადობის ანალიზის მიხედვით აღნიშნულ მაკროეკონომიკურ ცვლადებში არასასურველი რყევები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ ვალის მდგრადობაზე. კერძოდ, ვალუტის გაცვლითი კურსის 30%-ით გაუფასურება საშუალოვადიან პერიოდში გამოიწვევს ვალის ტვირთის მაჩვენებლის 8%-ით გაუარესებას. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის შოკის ზეგავლენას, მისი 1%-იანი ვარდნა გამოიწვევს სახელმწიფო ვალის მშპ-თან ფარდობის კოეფიციენტის 40%-მდე ზრდას.<sup>4</sup> აღნიშნული შედეგები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტით „საქართველო 2020“ განისაზღვრა, რომ 2020 წლამდე სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-თან მიმართებაში 40%-ზე ნაკლები უნდა იყოს.<sup>5</sup></p>	<p>ვალის მდგრადობის ანალიზში მნიშვნელოვანია დაშვებები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სცენარი არის უკიდურესად პესიმისტური, როცა უშვებს რეალური გაცვლითი კურსის 30%-ით გაუფასურებას. შესაძლოა რეალური მშპ-ს 1%-იანი უარყოფითი შოკის დროს სახელმწიფო ვალი მშპ-ს მიმართ გაიზარდოს, მაგრამ არა 40%-მდე. თუ 2013 წელს ავიღებთ „ქეისად“, მშპ-ს გადახრა მოსალოდნელისგან 1%-ზე მეტი აღმოჩნდა, თუმცა სახელმწიფოს ვალი მშპ-სთან მიმართებით არათუ გაიზარდა, არამედ 0.01 პროცენტული პუნქტით შემცირდა. შესაბამისად, ვალის მდგრადობის ანალიზი დიდად არის დამოკიდებული საბაზისო დაშვებებზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ფისკალური რისკების შეფასების დოკუმენტზე და აღნიშნული დანართი წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტთან ერთად.</p>
<p>ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების სპეციფიკას რაც შეეხება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის (GFSM) 1986 წლის სტანდარტების შესაბამისად, 2012 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა 2.8% შეადგინა, ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 2.6%-მდე შემცირდა. GFSM 1986 კლასიფიკაციით 2014 წლის ფისკალური დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 3.9%-ის დონეზე, მაშინ როცა GFSM 2001-ის მიხედვით ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირებულია 2.9%-ის დონეზე. საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტი განსაზღვრულია როგორც ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ხოლო ბიუჯეტის შესახებ არსებული კანონი დგება და შესაბამისად, ბიუჯეტის არსებული მთლიანი სალდო გამოითვლება საჯარო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სტანდარტებზე დაყრდნობით. არსებული თავისებურების გათვალისწინებით, საშუალოვადიანი ფისკალური მდგრადობისა და კანონპროექტით გათვალისწინებული პარამეტრების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულ ფისკალურ ლიმიტებთან შესაბამისობის შესაფასებლად აუცილებელია ორივე კლასიფიკაციით გაანგარიშებული ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი, ვინაიდან დეფიციტის განსხვავებული კლასიფიკაციით გაანგარიშებისას</p>	<p>გათვალისწინებულია, განმარტებით ბარათში ინფორმაცია წარმოდგენილია ორივე მეთოდოლოგიის მიხედვით</p>

<sup>4</sup> IMF, (2014): “Georgia: Request for a Stand-By Arrangement; Press Release; and Statement for the Executive Director for Georgia”, Country Report No. 14/250, August, გვ.23.

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, გვ. 20.

<p>შესაძლებელია განსხვავებული სურათი იქნას წარმოდგენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილია საპროგნოზო წლის GFSM 1986 წლის კლასიფიკაციით გამოთვლილი ფისკალური დეფიციტის მაჩვენებელი.</p>	
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში ან საჯარო ფინანსების სტატისტიკაში არ ხდება ბიუჯეტის დეფიციტის დიფერენცირება ციკლურ და სტრუქტურულ კომპონენტებად. ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი ასახავს მთავრობის დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულებას ეკონომიკური აქტივობის ციკლის ანუ ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების ეფექტის გამორიცხვით<sup>6</sup> და მიუთითებს ბიუჯეტის უარყოფითი სალდოს ფორმირებაში ეკონომიკური აქტივობის ციკლისა და მთავრობის დისკრეციული პოლიტიკის წვლილზე. აღსანიშნავია, რომ სსფ-ის შეფასებით, 2014 და 2015 წლებისათვის სტრუქტურული დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებლის წილი მშპ-ში განსაზღვრულია, შესაბამისად, 2.8% და 2.3%-ის დონეზე, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მთლიან დეფიციტში მათი წილი 76%-სა და 77%-ს შეადგენს. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2016 წლიდან სტრუქტურული ფაქტორის წილი ბიუჯეტის დეფიციტში კლების ტენდენციით ხასიათდება და 2019 წლისათვის 60%-ის დონეზეა პროგნოზირებული.</p>	<p>ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებული აქვს ციკლურად შესწორებული ბიუჯეტის ბალანსი, ასევე ჩატარებულია სენსიტიურობის ანალიზი, როცა შემოსავლების და ხარჯების ელასტიურობები „მშპ-ის გეგის“ მიმართ იცვლება. ციკლურად შესწორებულ და ციკლურად შეუწორებელ ბიუჯეტის ბალანსებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობის გამო, ამ ეტაპზე არ იყო აუცილებელი შესაბამისი მთავრობის ანგარიშში, თუმცა მომავალში გათვალისწინებული იქნება.</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან საწყისი ეტაპი სრულდება, ბიუჯეტის პროგრამულ დანართში კვლავ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები. მიზანშეწონილია, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა, მისი შემდგომი სრულყოფა და დეტალური განმარტებებისა და ინსტრუქციების მიწოდება მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც სრულყოფილი ანგარიშგებისა და წარმატებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრეს მიზანს სწორედ მიღწეულ შედეგებსა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის კავშირის დამყარება წარმოადგენს, მნიშვნელოვანია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს აღნიშნულ საკითხზე ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. იმის გათვალისწინებით, რომ მეთოდოლოგიაში დეტალური განმარტებები ან ნიმუშები მოცემული არ არის, ინდიკატორთა აღნიშნული შეფასება დიდწილად ეყრდნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა სუბიექტურ მსჯელობას. იმის გათვალისწინებით, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვა საწყის ეტაპზეა, მიზანშეწონილია მისი ეტაპობრივი დახვეწა და დეტალური განმარტებების მომზადება, რის აუცილებლობაზეც პროგრამული დანართის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ზემოთაღნიშნული ხარვეზებიც მეტყველებს. კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, მოცემულ იქნას უფრო დეტალური ინსტრუქციები პროგრამის მიზნების, საბოლოო და შუალედური შედეგების ფორმირებისათვის. ასევე საჭიროა დაიხვეწოს და უკეთ განიმარტოს ინდიკატორების უკვე არსებული კრიტერიუმები, რაც მხარჯავ დაწესებულებებს პროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგებისათვის გონივრული ინდიკატორების ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს. იმისათვის რომ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, აუცილებელია ყველა მხარჯავი დაწესებულების დონეზე შემუშავებულ იქნეს სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და მონიტორინგის სისტემა.</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ისე საკანონმდებლო ხელისუფლების და აუდიტის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევა, რომ შესრულების შეფასების ინდიკატორები ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ეფექტურ ინსტრუმენტად იქცეს. ამ მიზნით სამუშაოები კვლავ გრძელდება, დონორებთან (EU, GIZ) თანაშრომლობით მომავალ წელს მომზადდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის დეტალური სახელმძღვანელო მხარჯავი დაწესებულებებისათვის</p>
<p><b>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი</b></p>	
<p>მიზანშეწონილია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფოს მინისტრის აპარატის დაფინანსების ზრდა</p>	<p>გათვალისწინებულია, დაფინანსება გაზრდილია 300 ათასი ლარით</p>

<sup>6</sup> სტრუქტურული ბალანსის დადგენა გულისხმობს, პირველ რიგში, ფაქტობრივი მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრის გამოთვლას, შემდეგ აღნიშნული გადახრის მიმართ ბიუჯეტის ელასტიურობის მაჩვენებლის გამოყენებით ბიუჯეტის ციკლური კომპონენტის შეფასებას. სტრუქტურული ბალანსი წარმოადგენს სხვაობას ბიუჯეტის მთლიან სალდოსა და ბიუჯეტის ციკლურ კომპონენტს შორის.



გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	
<p>სამინისტროს დაფინანსების გაზრდა <u>(სუბილდები)</u> 5 930.0 ათასი ლარით, მათ შორის:</p> <p>ა) გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა დამატებით 1 040.6 ათასი ლარი;</p> <p>ბ) გარემოსდაცვითი ზედამხედველობა დამატებით 2 10.0 ათასი ლარი;</p> <p>გ) დაცული ტერიტორიების სისტემი ჩამოყალიბება დამატებით 412.8 ათასი ლარი;</p> <p>დ) სატყეო სისტემა დამატებით 2 230.0 ათასი ლარი;</p> <p>ე) სანერგე მეურნეობისათვის დამატებით 16.6 ათასი ლარი;</p> <p>ვ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დამატებით 130.0 ათასი ლარი;</p> <p>სამინისტროს დაფინანსების გაზრდა <u>(გამართული ფუნქციონირებისათვის)</u> 30 184.6 ათასი ლარით, მათ შორის:</p> <p>ა) გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა დამატებით 4 158.0 ათასი ლარი;</p> <p>ბ) გარემოსდაცვითი ზედამხედველობა დამატებით 5 030.0 ათასი ლარი;</p> <p>გ) დაცული ტერიტორიების სისტემი ჩამოყალიბება დამატებით 3 781.3 ათასი ლარი;</p> <p>დ) სატყეო სისტემა დამატებით 5 770.0 ათასი ლარი;</p> <p>ე) სანერგე მეურნეობისათვის დამატებით 207.6 ათასი ლარი;</p> <p>ვ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დამატებით 197.4 ათასი ლარი;</p> <p>ზ) გარემოსდაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია დამატებით 11 040.0 ათასი ლარი</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, ბიუჯეტი გადამუშავებულ ვერსიაში სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 4,0 მლნ ლარით და შეადგენს 39.0 მლნ ლარს.</p>
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	
<p>გაიზარდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები: თავდაცვისუნარიანობის გაზრდის, წვრთნების ჩატარების, ევროინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის, სამხედრო სარეზერვო სამსახურის რეფორმის, ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის</p>	<p>გათვალისწინებულია, ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები გაზრდილია 15-15 მლნ ლარით</p>
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	
<p>სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით სამსახურისათვის დამატებით გამოიყოს 5 556.5 ათასი ლარი;</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, გადამუშავებულ პროექტში იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გათვალისწინებულია 4.5 მლნ ლარი, რაც 1 მლნ ლარით აღემატება პირველ წარდგენისას წარმოდგენილ ვარიანტს</p>
<p>შემუშავდეს სიდუხჭირის გამო სტატუს შეჩერებული სტუდენტებისათვის სწავლის უფლების აღდგენის მექანიზმები</p>	<p>2013 წლიდან შემოდებულ იქნა მთელი რიგი სპეციალობები, რომელშიც 100% ფინანსდება და სრულად დაფინანსებულია 23 ათასამდე სტუდენტი, როდესაც 2013 წლამდე სრულ დაფინანსებას მოიპოვებდა დაახლოებით 8 ათასი სტუდენტი</p>
<p>დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის დამატებით 5 მლნ ლარი</p>	<p>გათვალისწინებულია, სამინისტროს ბიუჯეტი განსახლდრულია 70 მლნ ლარით, რაც 10 მლნ ლარით აღემატება პროექტის პირველადი ვარიანტით წარმოდგენილ დაფინანსებას.</p>
<p>ქალაქ ფოთის ტრანსფერის შემცირებულია და რაც პრობლემებს შეუქმნის მუნიციპალიტეტს.</p>	<p>გათვალისწინებულია, ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში 2014 წელთან შედარებით არ მცირდება არცერთი მუნიციპალიტეტის ტრანსფერი.</p>
აგრარული კომიტეტი	
<p>2015 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია მშპ-ის 5% რეალურ ზრდაზე და 4%-იან დეფლატორზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში მშპ-ის ზრდა საშუალოდ 6% იყო, შესაბამისად ბიუჯეტი დაგეგმილი დაბალ მაჩვენებელზე.</p> <p>2014 წლის საბიუჯეტო დეფიციტი 3.8%, 2015 წლისათვის დაგეგმილი საბიუჯეტო დეფიციტის 3%-მდე შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ <u>დეფიციტის შემცირება ხდება ვალდებულების ზრდის ხარჯზე!</u> ადგილი აქვს ე.წ. რეფინანსირებას, რაც გულისხმობს სესხის აღებას არსებული სესხის დასაფარავად.</p>	<p>2015 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად საოპერაციო სალდო დადებითია, რაც ნიშნავს რომ სახელმწიფო მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, რაც მათ შორის გულისხმობს სოციალურ გასაცემლებსაც, იყენებს მიმდინარე შემოსავლებს და მიმდინარე შემოსავლები აღემატება მიმდინარე ხარჯებისათვის</p>

<p>2015 წლისათვის ამ მონაცემებით საგარეო საბიუჯეტო კრედიტების წილი მთლიან გადასახდელებში 9%, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 11% გაუტოლდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2015 წლის ბიუჯეტის 30% სოციალური ვალდებულებებით განისაზღვრა, არაპირდაპირ გამოდის რომ აღებული კრედიტები და გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ხორციელდება ბიუჯეტის სოციალური ვალდებულებების დაფინანსება.</p> <p><b>სოციალური ვალდებულებებით დატვირთული ბიუჯეტი ვერ იქნება ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი.</b> სოციალური დახმარებები მიმართული უნდა იყოს ყველაზე დაუცველ ფენებზე. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პაკეტი იყოს მიზნობრივი, რაც ამ პროგრამებს უფრო ეფექტურს გახდის</p> <p>2014 წელთან შედარებით 2015 წელს 200 მილიონი ლარით ნაკლები საგარეო ვალდებულების გასტუმრება იგეგმება, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში აღებულმა საგარეო ვალდებულებებმა 3 მილიარდ ლარს მიაღწია. ვალის აღებისას უნდა ხდებოდეს ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი და მიმართული უნდა იყოს იმ პროექტების დასაფინანსებლად რომელთა ამონაგების აღება ხარჯებს ინფრასტრუქტურული ხარჯები წინა წელთან შედარებით მართალია მცირედით გაზრდილია, თუმცა შეფარდებით მთლიან ბიუჯეტთან არის შემცირებული 0.4%-ით და მთლიანი ბიუჯეტის 9.6% შეადგენს. სწორედ ამ ტიპის ხარჯებია ბიუჯეტის მასტიმულირებელი. 2014 წლის 9 თვის შესრულება მიანიშნებს ინფრასტრუქტურული მიმართულებით გამოყოფილი თანხების პრობლემაზე, რაც არასასრულედი ტენდენციაა.</p>	<p>არსებულ საჭიროებებს, შესაბამისად ვალდებულებების ზრდის ხარჯზე შემოსულობების მიღება გამოწვეული არ არის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების საჭიროებით და აღნიშნული ხმარდება მხოლოდ აქტივების შექმნასა და ვალდებულებების მომსახურებას; ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს ახალ მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური დახმარებების განაწილებას უფრო ობიექტური და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას ინფრასტრუქტურული პროექტები და კაპიტალური ხარჯების მოცულობაზე მსჯელობა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივებით არ გვადლებს სწორ სურათს, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯებში გათვალისწინებული რესურსის დიდი ნაწილი ტრანსფერის სახით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს და ხმარდება ასევე კაპიტალური დანიშნულების ხარჯებს.</p>
<p>მნიშვნელოვანია აგრარული მიმართულებით სპეციალისტთა გადამზადება და პროფესიული განათების ცენტრების განახლება და ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა</p>	<p>პროფესიული განათლების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 მლნ ლარი. მათ შორის უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისათვის 26.5 მლნ ლარი, ამას გარდა 7.5 მლნ ლარი გათვალისწინებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მათ შორის გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; ამას გარდა 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის. ასევე, სასწავლო გეგმების შემუშავებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 2.6 მლნ ლარი</p>
<p><b>განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი</b></p>	
<p>მანდატურების ხელფასების დაფინანსება მიზანშეწონილია განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ და არა მანდატურის სამსახურის მიერ.</p>	<p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს ევალება საჯარო სკოლებსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.</p> <p>საჯარო სკოლებში მანდატურს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან ერთად.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მანდატური სკოლაში მუშაობს ხელშეკრულების საფუძველზე, ყველა სკოლას არ აქვს გაფორმებული ასეთი ხელშეკრულება.</p> <p>ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მანდატურისათვის არსებობდეს შრომის</p>

	<p>ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და უნიფორმით და სხვა ინვენტარით აღჭურვის ერთგვაროვანი სისტემა, ასევე გადამზადების ერთიანი მექანიზმები, რაც უკვე არის ორგანიზებული ერთი სამსახურის მიერ ამ პროცესების მართვისას, ვიდრე თითოეული საჯარო სკოლის მიერ ინდივიდუალურად მანდატურის საქმიანობის ანაზღაურების შემთხვევაში იქნებოდა.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიზანშეწონილად არ ჩაითვალა ანაზღაურების საკითხის საჯარო სკოლების დაფინანსების ფარგლებში მოქცევა.</p> <p>ასევე აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლების დაფინანსება ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვალისწინებული ფინანსური ნორმატივების (ვაუჩერის) მიხედვით და არ ფინანსდება პირდაპირ მათ მიერ დასაქმებული თანამშრომლები და სკოლის მოვლა-შენახვის ხარჯები, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მანდატურის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების უშუალოდ იმ სკოლებისთვის დამატება, რომლებთანაც მანდატურები ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ გაართულებს სკოლების დაფინანსების არებულ სქემას.</p>
<p>50 მლნ ლარის გამოყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მიზნობრივად მასწავლებლების ხელფასის გასაზრდელად</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დამატებით გამოიყო 25 ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასწავლებლების ხელფასის ზრდა 2015 წლის 1 სექტემბრიდან. ამასთან, მასწავლებელთა ხელფასების მატება დაგეგმილია 2016 წელსაც.</p>
<p>გაუმართლებელია პროფესიული განათლების შემცირება 1.3 მლნ ლარით;</p>	<p>პროფესიული განათლების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 მლნ ლარი. მათ შორის უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისათვის 26.5 მლნ ლარი, ამას გარდა 7.5 მლნ ლარი გათვალისწინებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მათ შორის გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას;</p> <p>ამას გარდა 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის ასევე სასწვლო გეგმების შემუშავებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 2.6 მლნ ლარი</p>
<p>მეცნიერების დაფინანსება იყოს მშპ-ის 0,25% (80 მლნ ლარი)</p>	<p>მეცნიერების დაფინანსებაზე განათლების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია 60 მლნ ლარზე მეტი,</p>

	<p>ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში 34 მლნ ლარამდე, ამასთან, მომდევნო წლებში ყოველწლიურად იგეგმება მეცნიერების დაფინანსების ზრდა.</p>
<p>კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი გაიზარდოს:  ა) 1-1 მლნ ლარი გამოიყოს 3 სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლისათვის;  ბ) პეტროს ადამიანის სომხური თეატრის რეაბილიტაციისათვის  გ) კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმების სისტემის დაფინანსების გაზრდა;</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი გაზრდილია დამატებით 10 მლნ ლარით, რომელიც გადანაწილებულია კულტურის სამინისტროს კონკრეტულ პროგრამებზე. რაც შეეხება პეტროს ადამიანის სომხური თეატრის რეაბილიტაციას, ამ ეტაპზე არ არსებობს დეტალური ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, თუმცა სამინისტროს კაპიტალური პროექტებისათვის გათვალისწინებული აქვს 4,3 მლნ ლარი, რაც წლის მანძილზე სამინისტროს მიერ გადაწილდება შესაბამის პროექტებზე</p>
<p><b>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი</b></p>	
<p>გადაიხედოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა და მისი აპარატისათვის გამოყოფილი ასიგნებები;  გაზრდილი ფუნქციებიდან გამომდინარე, მათ შორის ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების კომისიის სამდივნოს ფუნქციის შესრულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ბიუჯეტი გაიზარდოს 1 450.0 ათას ლარამდე, ხოლო რიცხოვნობის გაზრდა 28 თანამშრომლამდე;</p>	<p>გათვალისწინებულია, ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 450.0 ათასი ლარით.</p>
<p>იურიდიული დახმარების სამსახურის ასიგნებების გაზრდა 919.5 ათასი ლარით და რიცხოვნობის გაზრდა 35 ერთეულით;  მთლიანობაში სამსახურს ესაჭიროება 5 556 500 ლარი.</p>	<p>გათვალისწინებულია, სამსახურის ასიგნებები გაზრდილია 1 მლნ ლარით და შეადგენს 4.5 მლნ ლარს.</p>
<p>სასამართლო სისტემის მოსამართლეთა დამატებითი საკადრო უზრუნველყოფა;  <b>დაყენებული საკითხები:</b> საერთო სასამართლოების შრომის ანაზღაურების გაზრდა (წელიწადში 4-ჯერ სარგოს ოდენობით პრემია)  55 საშტატო ერთეულით გაზრდა; სასწავლო ვიზიტები, საქალაქო სასამართლოს ეზოში 5 სართულიანი შენობა, დატა-ცენტრი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;  <b>კომიტეტს მიაჩნია:</b> ახალი შენობა - 4.5 მლნ ლარი ნაწილობრივ 2015 წელს გავითვალისწინოთ; შრომის ანაზღაურებისთვის დამატებით მოთხოვნილი 3.7 მლნ <b>არ დაკმაყოფილდეს;</b> დატა-ცენტრი საჭიროა თუმცა უნდა გადაწყდეს შესაძლებლობებიდან გამომდინარე;</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია, საერთო სასამართლოებისათვის ბიუჯეტის პროექტი წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 2.5 მლნ ლარით და გათვალისწინებულია საშტატო რიცხოვნობის გაზრდა 55 ერთეულით.</p>
<p>100 000 ლარის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამატების საკითხი განხილულ იქნეს ფინანსთა სამინისტროსთან, კონგრესის თავმჯდომარეთა კონფერენციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის</p>	<p>დამატებით გამოიყო 75 ათასი ლარი, რაც საკმარისი იქნება აღნიშნული კონფერენციის ჩასატარებლად</p>
<p><b>სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი</b></p>	
<p>კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამინისტროს ბიუჯეტს დაემატოს 27 მლნ ლარი და უზრუნველყოფილი იქნეს სამინისტროს მთლიანი მოთხოვა 82 მლნ ლარის ოდენობით;</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია, სამინისტროს ბიუჯეტი გაზრდილია 15 მლნ ლარით</p>
<p><b>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</b></p>	
<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები გაიზარდოს 8.5 მლნ ლარით:  ა) სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის 300.0 ათასი ლარი;  ბ) სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოსათვის 83.0 ათასი ლარით;  გ) სსიპ - ქონების ეროვნულ სააგენტოს - 38.1 მლნ ლარი (შპს „გუდაურის განვითარების სააგენტოს“; შპს „გაერთიანებული აეროპორტების“ და შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით (მათ შორის გათვლიანება)  დ) სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსათვის 1.7 მლნ ლარი;  ე) სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ჯამურად 3.1 მლნ ლარი</p>	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაიმართა დამატებითი კონსულტაციები და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსების რესურსი მოძიებული იქნა სამინისტროსათვის გათვალისწინებული 120.0 მლნ ლარის ფარგლებში, არსებული მექანიზმების დახვეწით.</p>
<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდა 83 მლნ ლარით, წყალმომარაგების, მყარი ნარჩენების მართვის, სათბილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მოვლა-შენახვისათვის</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ, ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში სამინისტროსთვის გამოყოფილია 1000.0 მლნ ლარი, რაც 45 მლნ ლარით</p>

	აღმატება პირველი წარდგენით გათვალისწინებულ ვერსიას;
1 მლნ ლარი დამატებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 360 ახალი აბონენტის სუბსიდირებისათვის; მესტიის სოფლების ელექტროენერჯის ღირებულების დასაფინანსებლად 2.0 მლნ ლარი;	ნაწილობრივ გათვალისწინებულია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლების აბონენტთა სუბსიდირებისათვის გათვალისწინებულია სათანადო თანხები
სსიპ - კონკურენციის სააგენტოს დაფინანსება გაიზარდოს 1.6 მლნ ლარამდე	გათვალისწინებულია, სააგენტოს დაფინანსება გაზარდილია 1.2 მლნ ლარით და განსაზღვრულია 1.9 მლნ ლარით
პროფესიული განათლებისათვის შეძლებისდაგვარად დაფინანსების გაზრდა	პროფესიული განათლების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 მლნ ლარი. მათ შორის უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისათვის 26.5 მლნ ლარი, ამას გარდა 7.5 მლნ ლარი გათვალისწინებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მათ შორის გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; ამას გარდა 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის ასევე სასწავლო გეგმების შემუშავებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 2.6 მლნ ლარი
საკლასო ჩინის დანამატის აღდგენა ან შენარჩუნება მაინც, მათთვის ვინც დაწინაურდება;	მუშაობა მიმდინარეობს საჯარო სამსახურის რეფორმაზე, რაც მათ შორის ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების საკითხების მოწესრიგებას და ერთიანი სტანდარტების დანერგვას მთელ საჯარო საქტორში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რეფორმის დასრულებამდე შენარჩუნდეს არსებული მდგომარეობა და საკლასო ჩინების მინიჭების და ანაზღაურების საკითხი გადაწყდეს რეფორმის ფარგლებში. ამასთან, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საკლასო ჩინების მიხედვით დანამატის გაცემა შესაძლებელია იმ პირებზე, ვინც აღნიშნულ დანამატს იღებდა 2006 წლის 1 იანვრამდე, მიუხედავად იმისა აღნიშნული პირები დაწინაურდებიან თუ შეიცვლიან სამსახურს.
<b>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტი</b>	
საყვარელიძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და ლუგარის ლაბორატორიის სარგოების მოწესრიგება;	გათვალისწინებულია ნაწილობრივ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამატებით
აუცილებელია სოციალური მუშაკების შრომის ანაზღაურების ზრდა	გათვალისწინებულია 25 მლნ ლარი, რომელიც მათ შორის ხმარდება პენსიონერთა ზოგიერთი კატეგორიის (სოციალურად დაუცველები, მკვთარად გამოხატული შშმ პირები) პენსიის ზრდას;
ახალი ვაქცინების შესყიდვისათვის უნდა გაიზარდოს იმუნიზაციის პროგრამა	ასევე გათვალისწინებულია სამინისტროს მიერ განსახორციელებელი სხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებების გაზრდა (იმუნიზაცია, სოფლის ექიმი, სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღჭურვა და სხვა)
უსაფრთხო სისხლის ფარგლებში 2300 ჯარისკაცის მიერ სისხლის ჩაბარების შემთხვევაში მიზანშეწონილია სათანადო თანხით უზრუნველყოფა;	
მიზანშეწონილია დიალიზის პროგრამის დაფინანსების ზრდა	
მიზანშეწონილია სოფლის ექიმების/ექთნების დამატება მაღლმთიან სოფლებში და მათი ჩანთების განახლება	
აღჭურვის პროგრამაში გასათვალისწინებელია საავადმყოფოების მოწესრიგება, ასევე, სასწრაფო დახმარებისათვის გადაცემული ფართების რემონტები	

<b>რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტი</b>	
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები გაიზარდოს 1 მილიარდ ლარამდე, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში;	გათვალისწინებულია, ბიუჯეტის პროექტში სამინისტროს ასიგნებები გათვალისწინებულია 1 000.0 მლნ ლარით
რეგიონული და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელების სქემის გადახედვა და ოპტიმალური (გამარტივებული) პროცედურის დადგენა	ბიუჯეტით გათვალისწინებულია 300 მლნ ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის (მათ შორის 50 მლნ ლარი - სოფლის პროგრამის ფარგლებში) შესაბამისი ასიგნებები, რომლის ხარჯვაც ხორციელდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით; კომიტეტთან შესაძლებელია გაგრძელდეს მუშაობა პროცედურების დახვეწის თაობაზე
ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტის გაზის სუბსიდირების პროგრამის გაზრდა	გათვალისწინებულია
ტრანსფერების შენარჩუნება 2014 წლის დონეზე	გათვალისწინებულია
ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის საგაზაო და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	შესაბამის სამინისტროებთან შესაძლებელია მუშაობის გაგრძელება ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში
დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ვეძისხევის მოსახლეობისათვის ეკომიგრანტის სტატუსის მინიჭება და ახალ საცხოვრებელ ადგილზე გასახლებამდე მათი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართებით	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ასიგნებებში ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვისათვის გათვალისწინებულია 1.8 მლნ ლარი
პროფესიული განათლების დაფინანსების გაზრდა	პროფესიული განათლების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 36 მლნ ლარი. მათ შორის უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისათვის 26.5 მლნ ლარი, ამას გარდა 7.5 მლნ ლარი გათვალისწინებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც მათ შორის გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; ამას გარდა 15 მლნ ლარი გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციისათვის ასევე სასაწვლო გეგმების შემუშავებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 2.6 მლნ ლარი
საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში პედაგოგების (10142), სამედიცინო პერსონალის (470), ბიბლიოთეკარების (552), ვეტერინარების (259) შრომის წახალისება და 30% დანამატის დაწესება (17 მლნ ლარი)	მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც მოაწესრიგებს მათთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისი კანონპროექტთან ერთად შესაძლებელია განხილულ იქნეს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის წახალისების სხვადასხვა მექანიზმები.
<b>საპარლამენტო უმცირესობა</b>	
საშემოსავლო გადასახადის შემცირება 18%-მდე	საქართველო, არსებული საშემოსავლო გადასახადით განეკუთვნება საკმაოდ დაბალი გადასახადების განაკვეთების მქონე ქვეყანათა რიცხვს და იმ პირობებში როდესაც სოციალური გარანტიების დაფინანსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლებით

	<p>მობილიზებული სახსრები ამ განაკვეთის კიდევ უფრო შემცირება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.</p>
<p>არარეალური მაკროეკონომიკური გათვლები, 2014 წლის იანვრის თვის მშპ-ის მოცულობასთან (29 352) შედარებით მშპ შემცირდა 29 152 მლნ ლარამდე და კიდევ შემცირდება წინასწარი პროგნოზით, თუ ბოლო კვარტალში არ დაიწყება მასშტაბური ხარჯვა, როგორც გასულ წელს. აღნიშნულისთვის კი ეროვნულ ბანკს მოუწევს ინტერვენცია; 5%-იანი ზრდა ქვეყნის განვითარებისათვის ცოტა და მნიშვნელოვანია ყველაფერი გაკეთდეს 7%-იანი ზრდის მისაღწევად; კაპიტალური ხარჯები შემცირებულია, ზრდა ძირითადად მიმდინარე ხარჯებზე მოდის, შეიძლება იმის თქმა, რომ საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას 2015 წლის მშპ-ის მოცულობა შემცირებული იქნება, შესაბამისად პარამეტრები არასწორია;</p>	<p>2014 წელს მშპ-ის ნომინალური მოცულობა იმიტომ შემცირდა პირველად ვარიანტთან შედარებით, რომ ინფლაციის მოსალოდნელი დონე შემცირდა, რაც ასახულია მაკრო სცენარში. რა თქმა უნდა უმჯობესია ეკონომიკის უფრო მაღალი ტემპებით ზრდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ რეგიონში სხვა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპებს უფრო მაღალ პარამეტრებზე ბიუჯეტის დაგეგმვა არასწორი იქნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილია მაკროეკონომიკური პროგნოზები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.</p>
<p>2014 წლის ბოლოსთვის სრულიად მართლდება პროგნოზი, რომ დეფიციტი 3%-ს აჭარბებდა, რითაც ეკონომიკური თავისფულების აქტი ირღვევა და ამას მთავრობაც აღიარებს და მომდევნო წლებში ამცირებს დეფიციტს 3%-მდე, რაც კრიტიკულ მაჩვენებელთან ახლოსაა (მშპ-ის თუნდაც მცირედით შემცირების შემთხვევაში); ამიტომ მნიშვნელოვანია ხარჯვა იმ ნაწიში განხორციელდეს სადაც საგადასახადო ტვირთი მაღალია (კაპიტალური ხარჯები). გამორიცხული არაა მესამე წარდგენისას სულ სხვა პარამეტრები იქნეს წარმოდგენილი და დეფიციტის გაიზარდოს</p>	<p>საბიუჯეტო კოდექსის თანახმად საბიუჯეტო დეფიციტი გამოითვლება GFSM 2001 მეთოდოლოგიით და 2014 წლისათვის დეფიციტი არ აღემატება 1.9%-ს. არც გადამუშავებულ ვარიანტში და არც პროექტის საბოლოო ვარიანტში არ იქნება გაზარდილი საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობა. ამასთან, GFSM 1986 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშებული დეფიციტი 2015 წლისთვის შეადგენს მშპ-ს 3%-ს, ხოლო მომდევნო წლებში აღნიშნულ მაჩვენებლს ექნება კლებადი ტენდენცია.</p>
<p>დივიდენდების ნაწილში შემცირებულია გეგმა, რაც მიუღებელია ვინაიდან საპარტნიორო ფონდს აქვს მოგება და სხვა საწარმოებსაც. თუ ამ თანხების დატოვება ხდება რეინვესტირებისათვის საჭიროა დეტალური გეგმის წარმოდგენა რაში დაიხარჯება</p>	<p>სს „საპარტნიორო ფონდის“ დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ ფონდისთვის გადაცემული კომპანიების დივიდენდები, რომელიც ფონდის მიერ მოზიდულ სხვა სახსრებთან ერთად, მიემართება საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პროექტების დასაფინანსებლად. აღნიშნულის თაობაზე სს „საპარტნიორო ფონდი“ ყოველწლიურად ადგენს ანგარიშს, რომელიც მოიცავს წლის განმავლობაში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.</p>
<p>პენსია კვლავ 150 ლარი (მიუხედავად იმისა, რომ საარსებო მინიმუმმა გაასწრო) თუმცა მითითებულია, რომ მთავრობას უფლება აქვს გაზარდოს ზოგიერთი კატეგორიის საპენსიო გასაცემელი; <b>ალტერნატიული შემთავაზება:</b> 2015 წლის 1 სექტემბრიდან პენსია გაიზარდოს 35 ლარი (185 ლარი), 2016 წლის სექტემბრიდან ისევ 35 ლარით (220 ლარი); 2015 წელს აღნიშნულისათვის საჭიროა 98 მლნ ლარი, რაც შესაძლოა დაფინანსდეს: ა) 200 მლნ ლარი - ზემოთაღნიშნული გასაზრდელი 200 მლნ ლარი; ბ) 20 მლნ ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდის ზრდის ნაცვლად, 10-20 მლნ წინა წელს გამოუყენებელი სახსრების დაბრუნება; 50 მლნ დაუგეგმავი დივიდენდი და ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია (31 მლნ ლარი 2014 წლის 5 თვეში)</p>	<p>2015 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებულია ასაკით პენსიონერთა ზოგიერთი კატეგორიისათვის (სოციალურად დაუცველები) და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის პენსიის/სოციალური პაკეტის ზრდა (25 ლარით) 2015 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული ზრდა გათვალისწინებულია იმ პირებისათვის ვისაც ყველაზე მეტი საჭიროებები გააჩნია და მიმართულია ამ პირებისათვის მეტი სოციალური გარანტიების შესაქმნელად.</p>
<p>რეგიონული განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება თუმცა ფაქტია, რომ ათვისებას ვერ ახერხებს სამინისტრო 2 წელია</p>	<p>2014 წლის მეორე ნახევრიდან სამინისტროს მიერ მნიშვნელოვნად გაიზარდა დამტკიცებული ასიგნებების ათვისების</p>

ტემპი და წლის ბოლოსთვის დაგეგმილი თანხების მნიშვნელოვანი აუთვისებლობა არ იქნება.

იურიდიული დეპარტამენტი	
<p>2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მე-14 მუხლის სტრუქტურა არსებით შეუსაბამობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ამ მუხლის პუნქტები დასათავურებელია, პუნქტების შემადგენლობაში შემავალი შინაარსობრივად ქვეპუნქტების შესატყვისი ტექსტების თანმიმდევრობა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით აღნიშნულია არა ქართული ანბანის ასოებით, არამედ არაბული ციფრებით, ასევე თითოეულ მათგანს აქვს სათაური, მაშინ როდესაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ნორმატიული აქტის პუნქტი და ქვეპუნქტი უსათაუროა.</p>	<p>მე-5 თავის წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მუხლით და მასში მითითებული ნუმერაცია არ წარმოადგენს ამ მუხლის პუნქტებსა და ქვეპუნქტებს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროებს ბიუჯეტის გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების კლასიფიცირებას ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში და ამ მუხლში მითითებული ნუმერაცია შეესაბამება სწორედ თითოეული პრიორიტეტის ქვეშ სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების პროგრამული კოდის ადგილს.</p>
<p>კანონის პროექტის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი წარმოდგენილია შემდეგი რედაქციით: „1. უფლება მიეცეთ საქართველოს მინისტრებსა და სახელმწიფო მინისტრებს, მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების სამტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრონ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის კანცელარიის სამტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“ აღნიშნული არსებითად ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებს, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად დამოუკიდებლად სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს და თანამდებობის დასახელებას. ასეთივე უფლებებით სარგებლობენ სხვა მინისტრებიც (ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი). კანონის პროექტი წინააღმდეგობაშია სამტატო ნუსხის დამტკიცებასთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხას, როგორც სახელმწიფო მინისტრი, ისე საქართველოს მინისტრი ამტკიცებს დამოუკიდებლად.</p> <p>„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მოსამსახურეთა თანამდებობათა რანჟირების მიხედვით განსაზღვრა შედის საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში, ამ საკითხებში სხვა დამატებითი რეგულაციების დაწესების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს.</p>	<p>22-ე მუხლის პირველი პუნქტი არ არეგულირებს სამტატო ნუსხების დამტკიცების საკითხს და მასში განსაზღვრულია მხოლოდ კონკრეტული სამტატო ნუსხის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ვალდებულება მის დამტკიცებამდე.</p> <p>აღნიშნული ნორმა წლებია არსებობს წლიური ბიუჯეტის კანონში და აღნიშნულის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წლიური ბიუჯეტით დადგენილი თითოეული სამინისტროსათვის ასიგნებები კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით; თითოეული მინისტრი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფლებამოსილია დაამტკიცოს სამტატო განრიგი თუმცა აუცილებელია საქართველოს მთავრობა ინფორმირებული იყოს აღნიშნული პროექტი/ცვლილების პროექტი რა გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და სამტატო ნუსხით/ნუსხის ცვლილების თანახმად შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო რესურსი შეესაბამება თუ არა შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტში არსებულ რესურსს. აღნიშნულის მონიტორინგი მხოლოდ თანამდებობის რანჟირებისა და ზღვრების დაწესებით შეუძლებელია და ამ ნორმის კანონში არსებობა მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვისათვის.</p>
<p>კანონპროექტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი წარმოდგენილია შემდეგი რედაქციით: „საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებისა და მუხლების მიხედვით.“, რაც ნიშნავს რომ მთავრობას უფლება მიეცეს გარკვეულ ნაწილში შეაჩეროს კანონის მოქმედება, რაც სამართლებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით დაუშვებელია.</p>	<p>აღნიშნული ჩანაწერი წლებია არსებობს წლიური ბიუჯეტის კანონში და ემსახურება საქართველოს მთავრობისათვის საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილების მინიჭებას, საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ქონდეს საჭირო ბერკეტები.</p> <p>„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობა არეგულირებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს, შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს</p>



	<p>წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს“</p> <p>ვინაიდან საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია როგორც ბიუჯეტის პროექტის შემუშავებზე ისე მის შესრულებაზე და საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით წლიური ბიუჯეტის კანონის მომზადებისათვის განსაზღვრულია სხვა კანონპროექტების მომზადების წესისგან განსხვავებული პროცედურები, მათ შორის შესაძლებელია პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტის კანონში საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე ცვლილების განხორციელება საქართველოს პარლამენტთან შეთანხმების გარეშე, ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში იგივე სამართლებრივი მიზანშეწონილობის საკითხის დაყენება, რაც ვრცელდება სხვა კანონებზე არამიზანშეწონილია.</p>
<p>კანონპროექტი დასახვეწია იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.</p>	
<p><b>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი</b></p>	
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არასწორადაა გამოყენებული ტერმინი „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია“, რადგან ამგვარ ტერმინს არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მისი სახელწოდებაა „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია“. ასოცირების ხელშეკრულებით სახელწოდება დაზუსტებულია შემდეგნაირად: ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი.</p> <p><b>მიზანშეწონილია ბიუჯეტის კანონში ეწეროს კანონით განსაზღვრული სახელწოდება.</b></p>	<p>„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულია 10.05.2007 N296 ბრძანებულება „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“, რომლის თანახმადაც „ადმინისტრაციის სახელწოდებასა და ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ დასახელებებს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.“</p> <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულია სახელწოდება „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია“, რისი გათვალისწინებითაც ბიუჯეტშიც წარმოდგენილია ამავე სახელწოდებით.</p>